შპს



ტყე-მეტყევე

ს/კ 400228204 მის. თბილისი, გლდანის VIII მ/რ, კორპ. 27, ბინა 100, ელ. ფოსტა: aafciauri@yahoo.com

ტ. 577 119 750

№ 31

10 აპრილი 2018 წ.

დასკვნა

მწვანე ნარგავების სახეობრივი მდგომარეობისა და ხარისხობრივი შეფასების შესახებ

ა/წლის 1 აპრილს ქ. თბილისში, ცურტაველის ქ. №16 მისამართის (საკადასტრო კოდი: 01.18.04.014.005) არსებულ ტერიტორიაზე დამკვეთის შპს „არქ სტუდიო პაკო“-ს მომართვის საფუძველზე მეტყევე-მეცნიერის მიერ (ექსპერტი სატყეო სამეურნეო საქმიანობის მიმართულებით) შემოწმდა მწვანე ნარგავების ფიზიკური მდგომარეობა. ვიზუალურად დათვალიერებული და სატყეო ტაქსაციაში მიღებული მეთოდების მიხედვით აღწერილი და შეფასებული იქნა ყველა იქ განლაგებული ხე-მცენარე.

ხეების დიამეტრები დადგინდა საზომი ბაფთით მიწის პირიდან 10 სმ სიმაღლეზე გაზომვით და „პი“-ზე გაყოფით.

ტერიტორიაზე განლაგებულია 26 ძირი 12 სახეობის მწვანე ნარგავი. ამათგან 19 ძირი ხილ–კენკროვანია, 4 ძირი ზეხმელია. გადარგვას ექვემდებარება კვიდოს მცირე ზომისა და ვაზის (№22) მწვანე ნარგავები, სხვა ხე–მცენარეების (№4 – თუთის, №20 ასკილის და №15 აილანტუსის მაგივრად უკეთესია განხორციელდეს საკონპესაციო რგვა.

ცხრილში მოცემულია ქ. თბილისში, ცურტაველის ქ. №16 მისამართის (საკადასტრო კოდი: 01.18.04.014.005) ტერიტორიაზე არსებული ხე-მცენარეების სახეობები, მათი ფიზიკური მდგომარეობა და დიამეტრები მიწის ზედაპირიდან 10 სმ სიმაღლეზე:

№ რიგზე	მერქნიანი სახეობა	D_{10} დიამეტრი 10 სმ-ზე	შენიშვნა
1	ტყემალი	7,5	ხილ-კენკროვანი, ჯანსაღი
2	–‘–	8,5	–‘–
3	კარალიოკი	23,6	–‘–
4	თუთა	22,4	ჯანსაღი

5	ტყემალი	5,2	ხილ-კენკროვანი, ჯანსაღი
6	ლეღვი	12,6	ზეხმელი
7	–‘–	28,4	ხილ-კენკროვანი, ჯანსაღი
8	შინდი	9,1	–‘–
9	ლეღვი	1,7 – 3,2	ამონაყრით, 7 ღერო
10	ტყემალი	8,2	ხილ-კენკროვანი, ჯანსაღი
11	კარალიოკი	30,2	
12	ლეღვი	2,1 – 5,2	ამონაყრით, 11 ღერო
13	კარალიოკი	16,2	ზეხმელი
14	მსხალი	44,9	ხილ-კენკროვანი, ჯანსაღი
15	აილანტუსი	11,3	ჯანსაღი, გადაბელილი.
16	ქლიავი	8,6	ხილ-კენკროვანი, ჯანსაღი
17	ლეღვი	6,2	–‘–
18	სურო	4,1	ზეხმელი
19	ლეღვი	1,2 – 2,9	ხილ-კენკროვანი, ჯანსაღი, ამონაყრით 8 ღერო
20	ასკილი	1,3 – 2,7	ჯანსაღი, ამონაყრით 14 ძირი
21	ვერხვი	54,3	ძირკვი, ზეხმელი
22	ვაზი	2,3 – 5,8	ჯანსაღი, 5 ძირი
23	ლეღვი	2,1 – 5,9	ხილ-კენკროვანი, ჯანსაღი
24	–‘–	2,2 – 6,1	–‘–
25	კვიდო	6,1	ჯანსაღი
26	ტყემალი	1,1 – 1,8	ხილ-კენკროვანი, ჯანსაღი, 4 ღერო

დირექტორი ნანა აფციაური

ალექსანდრე აფციაური

პროფესორი, სატყეო საქმის მეტყევე–მეცნიერი
ლიცენზირებული და სერთიფიცირებული ექსპერტი

წერილის ნომერი:**18-01182502887**
თარიღი: **07/09/2018**

ადრესატი:

გიორგი მასხულია
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-ძველი თბილისის სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) (მოვალეობის შემსრულებელი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 22 აგვისტოს #60-01182342580 წერილი (AR1624441) და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ ალექსანდრე აფციაურის 2018 წლის 10 აპრილის #31 საექსპერტო დასკვნა), რომლითაც ითხოვთ მოქალაქე შალვა ქურიძის მომართვის საფუძველზე, ქ. თბილისში, ი. ცურტაველის ქ. #15-ში (ს.კ. #01.18.04.014.005) არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროს განთავსების მიზნით მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის, მე-7 მუხლის, მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) მე-3 თავის, 25-ე მუხლის, მე-5 პუნქტის შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა და გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ ნებართვის გაცემას არ საჭიროებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას.

ვინაიდან, საექსპერტო დასკვნის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია 26 ერთეული ფოთლოვანი ხე-მცენარე, რომელთა შორის 21 ძირი ხილ-კენკროვანია (5 ძირი ტყემალი, 3 ძირი კარალიოკი, 8 ძირი ლეღვი, 1 ძირი შინდი, 1 ძირი მსხალი, 1 ძირი ქლიავი, 1 ძირი ასკილი, 1 ძირი ვაზი) და აქედან, მხოლოდ 4 ძირი აღემატება 12 სმ-ს, მათი მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ ნებართვის გაცემას არ საჭიროებს.

რაც შეეხება ტერიტორიაზე არსებული 1 ძირი ვერხვის ზეხმელ ძირკვს (#21) და 1 ძირი ზეხმელი სუროს (#18) მოჭრის საკითხს, გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ'' (შემდგომში მოხსენებული, როგორც „კანონი'') მე-6 მუხლის, მე-6 პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება'') 26-ე მუხლის, პირველი პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტის შესაბამისად და თქვენს მიერ წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური გასცემს აღნიშნული ხეების მოჭრის ნებართვას მას შემდეგ, რაც მშენებლობის ნებართვის მიღების შემდგომ, დადგენილების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, განმცხადებელი გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში წარმოადგენს საკომპენსაციო რგვისთვის საჭირო საქონლის შესყიდვის თაობაზე გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელშიც უნდა მიეთითოს შესყიდული მცენარის სახეობა, ზომა და შემდგომი სამ წლიანი მოვლა-პატრონობის ვალდებულება.

რაც შეეხება 1 ძირი თუთის (#4), 1 ძირი აილანთუსის (#15) და 1 ძირი კვიდოს ბუჩქის (#25) საკითხს,

გაცნობებთ, რომ სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით, აღნიშნული მწვანე ნარგავის ტერიტორიაზე შენარჩუნების შემთხვევაში.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის 5^1-ე პუნქტი).

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

წერილის ნომერი: **18-01192493230**
თარიღი: **06/09/2019**
პინი: **1339**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,სამსახური'') განიხილა თქვენი 2019 წლის 26 აგვისტოს #60-0119238114 წერილი და AR1698012 განაცხადებით ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც მოქალაქე ირაკლი ლაზარიაშვილის მომართვის საფუძველზე ითხოვთ, შპს ,,მონოლითი გრუპის'' საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ი. ცურტაველის ქ. #15 ს.კ. #01.18.04.014.005) (სზ-3) III კლასის ობიექტის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებების შეტანის ეტაპზე, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას მწვანე ნარგავთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის (საექსპერტო დასკვნა, ტოპო. გეგმა შენობის ახალი განთავსების სქემით და მასზე მწვანე ნარგავებით) და განმარტებითი ბარათის თანახმად პროექტის განხორციელებას ხელს უშლის ტერიტორიაზე არსებული 1 (ერთი) ძირი აილანთუსი. განმცხადებლი ითხოვს ხის გადარგვას.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის'' (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება'') 21-ე და 21^2-ე მუხლების საფუძველზე, ვინაიდან ხე განთავსებულია საპროექტო ტერიტორიაზე და აფერხებს დაგეგმილი მშენებლობის განხორციელებას, ხის გადარგვის შესაძლებლობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ, ასევე, იმის გათვალიწინებით, რომ ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით მწვანე ნარგავების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით სამსახური თანახმაა გასცეს 1 (ერთი) ძირი აილანთუსის (D-19.5სმ) იმავე საკადასტრო ერთეულში გადარგვის ნებართვა მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ, როდესაც დაინტერესებული პირი მოიპოვებს მშენებლობის ნებართვას/ წერილობით თანხმობას და წარმოადგენს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებების შეტანის ეტაპზე.

აქვე მოგახსენებთ, რომ ვინაიდან ტერიტორიაზე იგეგმება III კლასის ობიექტის მშენებლობა, პროექტის შეთანხმების ეტაპზე სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურს უნდა წარედგინოს გამწვანების პროექტი, სადაც განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პირობები: მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონთან მიმართებით, მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით-10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ვარჯის მქონე ხისთვის, ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის.

წიწვოვანი ხის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრი, ხოლო ფოთლოვანის შემთხვევაში-არანაკლებ 3.5 მეტრი. დარგული ნერგის გარშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 20 სანტიმეტრი.

გასამწვანებელი მცენარეების სახეობები (ვერხვის/ალვის ხის, კვიპაროსის, ელდარისა და შავი ფიჭვის გარდა) უნდა შეირჩეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას. შესაბამისად, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს გამწვანების პროექტში მიზანშეწონილად არ მიაჩნია ამ სახეობის ფიჭვების დარგვა.

ვერხვის/ალვის სახეობები ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.

აქვე გაცნობებთ, რომ შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა, ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის ნარგავებით, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მწვანე ნარგაობის ხარისხობრივი შეფასება

საექსპერტო დასკვნა

დამკვეთი: შპს "მონოლითი გრუპ"

მისამართი: თბილისი იაკობ ცურტაველის ქ. N15
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.18.04.014.005

ფართობი: 555 კვ.მ.

თარიღი: 22.08.2019 წელი

ტერიტორიაზე არსებული და შეფასებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა: 1 ინდივიდი

ინფორმაცია

მწვანე ნარგავების სახეობის, დიამეტრის და მდგომარეობის შესახებ

ცხრილი N 1

N	სახეობა	სასიცოცხლო ფორმა	Do დიამეტრი 10 სმ-ზე	H სიმაღლე	მდგომარეობა	შენიშვნა
1	ხემყრალა, მყრალი ხე Ailanthus altissima	ხე	19.5	5	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

ტერიტორიაზე აღწერილი ხემყრალას ერთი ინდივიდი ექვემდებარება გადარგვას.

გადარგვის პროექტი

პატარა ზომის მერქნიანი ხეების გადარგვის მეთოდოლოგია
დიამეტრი 25 სმ-მდე

ნიადაგის მომზადება

ნიადაგის მომზადება უნდა განხორციელდეს მექანიზებული წესით (სასურველია ტექნიკის გამოყენებით). გადასარგავი ადგილი უნდა გაიწმინდოს სარეველა მცენარეებისგან, ქვებისაგან და ნაგვისაგან, ხოლო შემდეგ გაწმენდილი ადგილი მოიხნას და გადაიფარცხოს.

მერქნიანი ხე-მცენარის ამოღება და დარგვა:

- გადარგვა შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც ხელით, ასევე მექანიზებული წესით. ხელით გადარგვა ხორციელდება ორი მეთოდით ნიადაგის გუნდით (კომით) და შიშველფესვიანი ნერგებით;
- ხის ამოღება უნდა მოხდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით, ფესვთა სისტემის დაზიანების გარეშე; მცენარეების ნერგებს უნდა ქონდეთ „მიწის გუნდა“, მიწის დიამეტრით არანაკლებ ხის სიმაღლის 1/5-სა, სიღრმით - არა ნაკლებ 1/6-ისა.
- გადასარგავ ადგილზე არანაკლებ 5 დღით ადრე ამოღებული უნდა იქნას ორმო; სარგავი ორმოს დიამეტრი სასურველია გაითხაროს 0,5 – 0,9 მ. – ით მეტი, ხოლო სიღრმე 0,2–0,25 მ.–ით მეტი ვიდრე გადასარგავი ხის კომი;
- ორმოში სასურველია წინასწარ იქნეს შეტანილი ორგანული სასუქი (ტორფი, ან გადამწვარი ნაკელი);
- ორმოში ჩარგული ნერგის ფესვები უნდა გასწორდეს და მიეყაროს პირველი ბარის პირით ამოღებული მიწა. ფესვებზე მიყრილი მიწა თანდათანობით უნდა მიეტკეპნოს, შემდეგ ორმო უნდა ამოივსოს მეორე ბარის პირით ამოღებული მიწით;
- ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი;
- ხის დარგვის შემდგომ აუცილებელია ხის ღერის ფიქსირება არანაკლებ 3 მხრიდან საყრდენზე (ჭიგო, სარი, და სხვ);
- ნერგის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს ხის მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე;

მერქნიანი ხე–მცენარის დარგვის შემდგომი მოვლა–პატრონობა:

- მოვლის ღონისძიებები დარგვიდან პირველი 3 წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს. პირველ წელს სისტემატიურად უნდა ხდებოდეს ხეების ირგვლივ ჯამების გამარგვლა - გაფხვიერება და მორწყვა;
- მოსალოდნელი მავნებლების და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა;
- ხის მოვლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ხის ვარჯის ფორმირება. ხის დეკორატიულობა დამოკიდებულია საღ და კარგად ფორმირებულ ვარჯზე;
- ხის ფორმირება ახალგაზრდობისას საჭიროა ინტესიურად, სიბერეში კი - ხეს აჭრიან ხმელ ტოტებს. გამწვანებაში, ნარგავების მოვლა მიმდინარეობს სიცოცხლის მანძილზე;
- გადარგვიდან მეორე და მესამე წელს, ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე სასურველია განხორციელდეს სერთიფიცირებული მიკროელემენტების და სასუქების გამოყენება.

ექსპერტი: ბექა ბერძენიშვილი



ფორმატი A-2	დაკვეთა №	dwg. ფაილის სახელი gegmebi .dwg

პირობითი ნიშნები:

- (n) – ექსპლიკაციის ნუმერაცია
- – არქიტექტურული ნიშნული
- – კედლები
- – კოლონები
- – ღერძის ხაზი

ექსპლიკაცია

- მოჭრა-გადარგვა არ ხორციელდება (თუთა და გვიდოს ბუჩქი)
- ერთი ძირი გადასარგავი აილანტუსი
- მოსაჭრელი ხილ-კენკროვანი და ზეხმელი ხე ნარგავები

შენიშვნები:

ნახაზზე ზომები მოცემულია სანტიმეტრებში.

ნახაზის ყველა ცვლილება მშენებლობისას შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან.

ტექნიკური მაჩვენებლები

დამკვეთი

მისამართი
ქ. თბილისი, წურტაველის ქუჩა

პროექტის სახელწოდება

სასტუმრო

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	თარიღი
დირექტორი	გ. სანაია		
არქიტექტორი	ი. ლაზარიაშვილი		
არქიტექტორი	ს. ლაზარიაშვილი		
პრ. კონსტრუქტორი			
დაამუშავა	ს. ლაზარიაშვილი		
შეამოწმა	ი. ლაზარიაშვილი		

მასშტაბი	1:100
თარიღი	
layout	

მისამართი

ნახაზი

ხე ნარგავების მოჭრა-გადარგვა

სტადია	ფურცელი	ფურცლები
მ. პ.		